lfp საკანონმდებლო პრაქტიკის პროგრამა
The LEGISLATIVE FELLOWS Program

საკანონმდებლო პრაქტიკის (LFP) პროგრამა დაფინანსებულია ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ და მას საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, მოლდავეთში, თურქეთში, უკრაინასა და რუსეთში ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები (ACTR/ACCELS).

პროგრამის მიზანია: ფინალისტებმა გაიღრმაონ ამერიკის საკანონმდებლო პროცესებზე ცოდნა; ასევე გაიცნობიერონ მოქალაქეთა როლისა და მათი პოლიტიკაში ჩართულობის მნიშვნელობა პრაქტიკის საფუძველზე; დამყარდეს თანამშრომლური ურთიერთობა ამერიკულსა და უცხოურ ორგანიზაციებს შორის; შემუშავდეს ერთობლივი ძალებით პრაქტიკული გადაწყვეტილება საერთო პრობლემებზე.

მნიშვნელოვანი ფაქტები: 2012 წლის პროგრამის ქართველი ფინალისტები კონკურსის საფუძველზე შეირჩევიან. მასში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულმა კანდიდატებმა უნდა შეავსონ ელექტრონული ანკეტა მისამართზე: **https://ais.americancouncils.org,** რის შემდეგაც შეირჩევიან ნახევარფინალისტები და დაენიშნებათ გასაუბრება. ფინალისტებს შეარჩევენ შეერთებულ შტატებში ამერიკული საბჭოების სათაო ოფისის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი კომისიის წევრები.

ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში ჩასვლისთანავე ფინალისტები გაივლიან **სამდღიან ინტენსიურ ტრეინინგს**, რომლის ფარგლებშიც ისინი მიიღებენ ინფორმაციას ამერიკაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. პროგრამის მონაწილეები **4 კვირიან სტაჟირებას** გაივლიან შტატის საკანონმდებლო და ქალაქის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში და ჩაერთვებიან საშტატო მმართველობის, სახელმწიფო ზედამხედველობისა და მოქალაქეთა აქტიურობასთან დაკავშირებულ ყოველდღიურ პროცესებში. პროგრამის დასასრულს, დედაქალაქში (Washington DC), ფინალისტები 2 დღიანი კონფერენციის ფარგლებში შეხვდებიან პროგრამის მონაწილეებს: სამხრეთ ამერიკიდან, ინდონეზიიდან, ფილიპინებიდან, მალაიზიიდან, სინგაპურიდან, ტაივანიდან, ქუვეითიდან, ომანიდან, ბრაზილიიდან, კოლუმბიიდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან, ინდოეთიდან, ნეპალიდან და პაკისტანიდან, ასევე გაეცნობიან ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების საკანონმდებლო სისტემებს.

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ პირობებს:

- ✓ განაცხადის შევსების დროისათვის უნდა იყოს 25–35 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქე;
- ✓ უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას (ჰქონდეს Paper based TOEFL–ში 500-ზე, CBT-ში 173-ზე, IBT-ში 61-ზე, IELTS-ში 6-ზე მეტი ქულა, ან გავლილი საუნივერსიტეტო დონის ინგლისურ ენოვანი პროგრამა). იმ შემთხვევაში თუ გახდებით ნახევარფინალისტი და არ გექნებათ ზემოთხსენებული არც ერთი საბუთი, საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები თავისივე ხარჯებით ჩაგიტარებთ ITP TOEFL-ს;
- ✓ უნდა ჰქონდეს საბაკალავრო ხარისხი;
- ✓ უნდა ჰქონდეს გამოცდილება საჯარო სექტორში მუშაობისა (საკმარისია პრაქტიკის ან სტაჟირების სახით) და შესაბამისი ცოდნა საქართველოს საკანონმდებლო სისტემისა;
- ✓ უნდა ჰქონდეს სურვილი სამომავლოდ საჯარო სექტორში მუშაობისა;
- ✓ უნდა ავლენდეს ლიდერისა და ურთიერთთანამშრომლობის უნარებს.

მნიშვნელოვანი თარიღები:
საგაზაფხულო პროგრამის განაცხადის შევსების ბოლო ვადაა: 2011 წლის 11 ნოემბერი; სტაჟირების პერიოდი: 2012 წლის მარტის 28 დან, 5 მაისის ჩათვლით.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები საქართველოში,
ი. ჭავჭავაძის გამზირი 27/29, 0179, თბილისი, ტელ: (995 32) 2292106, 2913272, 2913252
ელექტრონული ფოსტა: lfp.georgia@gmail.com, ვებ გვერდი: http://apps.americancouncils.org/lfp/